



**საქართველო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულო**



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 20  
07/02/2018

20-06-4-201802072009



**დადგენილება N20**  
**2018 წლის 7 თებერვალი**

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა  
სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**და ა დ გ ი ნ ა :**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნას ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N21 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 20/12/2017 010250020.35.113.016318) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება და კარიერული განვითარება ხდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო